

# აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის აღმოსავლეთ სეგმენტის დასავლეთ ნაწილის ზედა ცარცულ-პალეოცენური აუზების გეოდინამიური გარემო და პალეოეკოლოგია

კახა ქოიავა

[kaxa.goiava@tsu.ge](mailto:kaxa.goiava@tsu.ge)

გეოლოგიის დეპარტამენტი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტი  
უნივერსიტეტის ქ. #13, 0186, თბილისი, საქართველო

აჭარა-თრიალეთის ზონის აღმოსავლეთ სეგმენტის უძველეს წარმონაქმნებს წარმოადგენენ ზედა ცარცული და პალეოცენ-ქვედაეოცენური ნალექები, რომლებიც ვიწრო ზოლის სახით შიშვლდებიან მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადების ხეობებში, მცხეთის ანტიკლინის თალში.

ზედა ცარცულის ჭრილი, დ. პაპავას (1966) მონაცემებით იწყება კონიაკურ-სანტონური ლითოგრაფიული ტიპის კირქვებით, რომლებშიც გვხვდება მერგელების შუაშრები და ბაზალტური შედგენილობის სილები. ზევით მოდის კამპანურ-მაასტრიხტული (**K<sub>2</sub> c-m**) კირქვები, ქვიშიანი კირქვები და მერგელები, შემდეგ კი – დანიური სართულის (**E<sub>1</sub> d**) ქვიშაქვები. პალეოცენ-ქვედაეოცენური წარმონაქმნები ხილული უთანხმოების გარეშე აგრძელებენ ზედაცარცულ ნალექებს და მთელს სიმძლავრეზე ერთგვაროვანი ლითოლოგიური შედგენილობით ხასიათდებიან. ისინი წარმოდგენილია თხელშრებრივი წვრილ – და საშუალომარცვლოვანი ქვიშაქვების, მერგელების და კარბონატული თიხების მორიგეობით. ფლიშური აგებულების ამ ნალექებს თანხმობით აგრძელებს შუაეოცენური ვულკანოგენ-დანალექი სერია.

ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა მოსაპირკეთებელი ქვების ორი კარიერი (ქვემო ნიჩბისი და მასია) მაასტრიხტული ასაკის ნალექებში და ერთი კარიერი (შუა ნიჩბისი), სადაც გაშიშვლებულია დანიური ასაკის ნალექები. ისინი მოსაპირკეთებლად გამოიყენება და ადგილობრივი მეწარმეების მიერ ხდება მათი ფაქტიურად შრე-შრე მოპოვება, რაც უნიკალური შემთხვევაა დეტალური პალეონტოლოგიური კვლევებისათვის. მით უმეტეს, რომ ამ წყებების საზღვარი ასაკობრივად ემთხვევა მეზოზოურის და კაინოზოურის საზღვარს, მიჯნას, რომელზეც მოხდა ბიოსის ერთ-ერთი უძლიერესი გადაშენება დედამიწაზე.

ამ სამ ადგილსამყოფელში ჩვენს მიერ დადგენილ იქნა აბისურ-ბათიალური (ტურბიდიტული) ნალექებისათვის დამახასიათებელი **Nereites** – ის ფაციესის მდიდარი იქნოფაუნა: **Granularia**, **Fucusopsis**, **Scolicia**, **Phycosiphon**, **Paleodictyon**, **Spirophycus**, **Gyrophyllites**, **Cosmorhaphe**. აღსანიშნავია, რომ იქნოფაუნის ეს კომპლექსი დიდ მსგავსებას იჩენს ესპანეთის ზედაცარცულ-ეოცენური ფლიშური (ტურბიდიტული) ნალექების იქნოფაუნასთან (**D. Seilacher, 2007**).